პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 25 (12233) | სამშაბათი, 30 იანვარი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ბრძოლა სოფლის მეურნეობის ლენინური პრინციპებიდან გამომდინარე

გუშინ „პრავდაში" გამოქვეყნდა ცნობა 1962 წლის 5 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად შეტანილია საკითხი „პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში". მომხსენებლად დამტკიცებულია ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ღირსშესანიშნავ ხანას განიცდის ჩვენი ფიცი ნაკლ შამშონლ. სამა თვეშ განელო მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა სკკპ XXII ყრილობამ. ყრილობის მიერ მიღებული პარტიის პროგრამა, როგორც მძლავრი შუქურა, გვინათებს გზას ახალი საზოგადოების სანუკვარი მწვერვალებისაკენ. საბჭოთა ხალხი შეიარაღებულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

„ბრძოლა სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროგრამის განხორციელებისათვის, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი უბანია. ეს არა მარტო უმაბალითო მასშტაბის სამეურნეო ამოცანაა, არამედ ამასთანავე ჩვენი პარტიის მთელი ორგანიზატორული, პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია. ...კომუნისტისათვის, ხელმძღვანელისათვის არ კმარა მხოლოდ აღიარებდეს მარქსიზმ-ლენინიზმს. მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ამრავლებდეს მატერიალურ ფასეულობათა, ამ შემთხვევაში მრცავლეულის, ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოებას. თუ არ იქნება ასეთი ფინსვლა, არ შეიძლება იყოს სოციალიზმი და კომუნიზმი".

საბჭოთა ადამიანები მზურვალედ იწონებენ უდიდეს მუშაობას სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, რომელიც უკანასკნელ წლებში გასწია პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. მთელი ხალხის აქტიური მონაწილეობით პარტიამ განამტკიცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განახორციელა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია, აამაღლა საბჭოთა მეურნეობების როლი კომუნისტურ მშენებლობაში, შემოიღო სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის ახალი წესი, აღადგინა პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპი, განამტკიცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით, განახორციელა სხვა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი. საბჭოთა ხალხის დიდი შრომითი გმირობა, რაც პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა, უამრი მიწების ათვისებაა.

ღონისძიებებმა, რომლებიც პარტიამ განახორციელა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, უკვე მოიტანა რეალური შედეგები, ხოლო შემდგომში ეს შედეგები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება. სკკპ XXII ყრილობამ აღნიშნა, რომ ხუთი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია წინა წლებთან შედარებით 43 პროცენტით გაზარდა. ბევრად გადიდდა მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება. 1961 წელს სახელმწიფომ შეისყიდა სამი მილიარდ ორასი მილიონი ფუთი პური — 820 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე წინა წელს. გადიდდა ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების განვითარების ტემპები, მთლიანად ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ დონეს, რომელიც აუცილებელია მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

რეზოლუციაში ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო სკკპ XXII ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა კვლავაც მთელი გულმოდგინეობით გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის რეზერვები, რათა წარმატებით გადავჭრათ კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — შევქმნათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე. პარტიის ცენტრალური კომიტეტი უდიდესი ენერგიითა და მიზანსწრაფულობით წარმართავს საბჭოთა ხალხის მეცადინეობას ამ ამოცანის შესასრულებლად.

კომუნისტური პარტიის ძალა მასებთან, ცხოვრებასთან ურღვევი კავშირია. პარტია მუდამ ეთათბირება მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა საბჭოთა ადამიანს. პარტიული და უპარტიო მასების ფართოდ ჩაბმა საბჭოთა საზოგადოების განვითარების მომწიფებული ამოცანების განხილვაში ჩვენში სისტემად იქცა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით XXII ყრილობის შემდეგ მაშინვე მოეწყო სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალური თათბირები, რომლებმაც განსაზღვრეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობათა გამოყენების კონკრეტული გზები, რათა განუზომლად უფრო სწრაფი ტემპებით გადიდდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. თათბირების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა, ორგანიზატორებმა და სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, სულ 33 ათასამდე კაცმა. ზონალურმა თათბირებმა გვიჩვენეს, რომ საბჭოთა სოფლის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ პარტიის გეგმები.

ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევის შესახებ დიდი ქმაყოფილებით შეხვდნენ ქალაქისა და სოფლის მშრომელები. საბჭოთა ადამიანები კიდევ და კიდევ რწმუნდებიან, თუ რა მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვიან ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნის გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის ყველა საჭირო პირობა გვაქვს. ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის თვით სისტემა შეიცავს მძლავრ ძალებს. ჩვენში ბუნების სტიქიას უპირისპირდება არა მარტოხელა მხვნელ-მთესველი, არამედ მშრომელთა ორგანიზებული კოლექტივები, რომლებიც შეიარაღებული არიან თანამედროვე ტექნიკით, წარმოების რაციონალური გაძღოლის მეცნიერული ცოდნით, საზოგადოების. წინაშე თავიანთი მოვალეობის ღრმა გაგებით. ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობანი ეკუმარიტად დაუშრეტელია. ეს ათასობით მაგალითით დაამტკიცეს სოფლის მოწინავე ადამიანებმა, რომლებიც გვიკაფავენ გზას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სანიმუშო წარმოებისაკენ, შრომის უმაღლესი ნაყოფიერებისაკენ. რა შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს მათ სოფლის მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგში და ჩვენი ქვეყნის სულ სხვადასხვა ზონაში!

ეყრდნობა რა სოფლის მეურნეობის ნოვატორებისა და სპეციალისტების გამოცდილებასა და ცოდნას, პარტიამ მიგვითითა რეზერვებზე, რომლებიც სწრაფად უნდა ავამოქმედოთ. მიწის სწორად გამოყენება, ნათესი ფართობების სტრუქტურის გადასინჯვა, ნაკლებმოსავლიანი კულტურების შეცვლა უფრო მოსავლიანით, ნათესბალახიანი სისტემის გადაჭრით უარყოფა და მიწათმოქმედების სათოხნი სისტემის შემოღება, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, პარკოსანი კულტურების მოყვანა — ყოველივე ეს ქმნის შესაძლებლობას მივიღოთ მაქსიმუმი პროდუქცია თვითეულ ჰექტარზე, საჭირო რაოდენობით ვაწარმოოთ მარცვლეული, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უდიდესი რეზერვები შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, თუ გადაჭრით აღმოვფხვრით ნაკლოვანებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობაში, ავიყვანთ მას ახალ მოთხოვნათა დონეზე. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება ძირეული საკითხია. დღეს იგი მთავარია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. სწორედ ეს საკითხი შეაქვს ცენტრალურ კომიტეტს პლენუმის განსახილველად.

უნდა გვახსოვდეს, მიგვითითებს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე, არსებული მატერიალური რესურსებისა და რეზერვების პირობებში, საქმე უმთავრესად ის არის, რომ უკეთ მოვაწყოთ წარმოება, უნარიანად გავანაწილოთ ძალები. ეს განსაზღვრავს ჩვენს წარმატებებსა და ჩვენს გამარჯვებას. უნარიანად დარაზმონ ადამიანები, დაეხმარონ მათ დაეუფლონ ტექნიკას, მოწინავე გამოცდილებას, აღაფრთოვანონ ისინი — აი რა მოეთხოვებათ უწინარეს ყოვლისა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

ეჭვი არ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადება გამოიწვევს საბჭოთა ადამიანების — კომუნისტების შენებლების შემოქმედებითი ენთუზიაზმის ახალ მძლავრ აღმავლობას. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას, ეფექტიანად ხელმძღვანელობენ ამ მეურნეობათა ეკონომიკურ და შრომითს აქტივობას, წარმართონ იგი გადაუდებელი მორიგი ამოცანების გადასაჭრელად. უკეთ მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის, დროზე და კარგად შევასრულოთ ტექნიკა, მოვიმარაგოთ საუკეთესო თესლი, მეტი დავაგროვოთ სასუქები, წარმატებით დავამთავროთ პირუტყვის გამოზამთრება, შევასწავლოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მუშაობის პროგრესული ხერხები — ეს და სხვა პრაქტიკული საქმეები უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის ყურადღების ცენტრში.

ჩვენი დღეების ნამდვილი ჰეროიკაა ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში მატერიალური დოვლათის წარმოების გადიდებისათვის, პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. დაე უფრო ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება ქალაქსა და სოფელში! შევხვდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ახალი წარმატებებით ფაბრიკებსა და ქარხნებში, ელეგანტურ ბინებსა და ბინებში, ბინებსა და ბინებში, ბინებსა და ბინებში,

ვიყოთ კომუნისტური პარტიის აქტიური თანაშემწენი კომუნიზმისათვის ბრძოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ძალებით 1961 წელს მოკრეფილია 105 ათასი ტონა — მთელი ჩაის ხედლეულის დაახლოებით 70 პროცენტი.

სოფლის ახალგაზრდობას დიდი წვლილი შეაქვს ისეთი დარგების განვითარებაში, როგორიც არის მეცხერტსეობა, მეთამბაქოეობა, მეაბრეშუმეობა, შაქრის ჭარხლის, კეთილშობილი დაფნის, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურების თესვა-მოყვანა. ახალგაზრდობის ძალებით გაშენებულია 3.000 ჰექტარი ახალი ვენახი.

ფერმებში მომუშავე 15 ათასმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა ერთგული წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის განვითარებაში.

საანგარიშო პერიოდი, განსაკუთრებით განვლილი სამეურნეო წელი, დიდი სიმინდისათვის ლაშქრობის წელი იყო. ჩაებნენ რა შეჯიბრებაში აზერბაიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების ახალგაზრდობასთან, ახალგაზრდა ქართველმა მესიმინდეებმა მოსავლიანად ბინეს 130 ათასი ჰექტარი ნათესი. მათ ვალდებულება იკისრეს 30 ათასი ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოეყვანათ 50-60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, ხოლო 100 ათასი ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 4-5 ცენტნერით მეტი მარცვალი, ვიდრე 1960 წელს. მესიმინდეებმა პირნათლად შეასრულეს სიტყვა, მოიპოვეს სრულიად საკავშირო ალკაჟ ცენტრალური კომიტეტის ზონალური გარდამავალი წითელი დროშა.

ხალხისანი, შრომისმოყვარე, ფაზიზურად და სულიერად ჯანსაღი თაობის კომუნიზმის მომავალ მშენებელთა თაობის აღზრდა — ან ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც დაუსახა პარტიამ კომკავშირსა და სკოლას. ჩვენი ოქტომბრელები, პიონერები და მოსწავლეები იცხოვრებენ კომუნიზმის დროს, და ჩვენ უნდა მოვამზადოთ ისინი ამ საზოგადოებაში ცხოვრებისა და შრომისათვის. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო ქმედითად და აქტიურად ეხმარებოდა სკოლას უმნიშვნელოვანესი ამოცანის — ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცების განხორციელებაში. დამკვიდრდა მოსწავლეთა ყველაზე მრავალფეროვანი და საინტერესო ფორმის შრომა. გაუმჯობესდა აგრეთვე სტუდენტი ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა.

ვ. ი. ლენინმა კომკავშირის III ყრილობაზე თქვა: „ახალგაზრდობის კავშირი და საერთოდ მთელი ახალგაზრდობა... უნდა სწავლობდეს კომუნიზმს“. დიდი ბელადის მითითებანი დაუდო საფუძვლად მთელ მუშაობას ახალგაზრდობის აღზრდისათვის კომუნისტური სულისკვეთებით. ახლა, როცა ჩვენ გავაქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების მკაფიო და კონკრეტული გეგმა, რომელიც კომუნიზმის მშენებელთა დიდმა ყრილობამ დასახა, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა გავუკეთოთ ანალიზი შეცდომებს და მთელი გულმოდგინებით განვსაზღვროთ აღმზრდელობითი მუშაობის ახალი ფორმები, გზები და მიმართულებანი.

მთელი რესპუბლიკა ამაყობს კომკავშირის სახელოვან აღზრდილთა დაუცხრომელი, თავდადებული შრომით. აი ვისგან უნდა აიღოს მაგალითი ჩვენმა ახალგაზრდობამ, აი ვინ არიან შეეტრები, რომლებიც გზას გვანათებენ. ახალგაზრდობა უნდა აღვზარდოთ მომავლის მზეურავთა, მაღალი მორალის ადამიანთა, სულიერად და ფიზიკურად გამოწრთობილ ქალიშვილთა და ჭაბუკთა მაგალითით.

რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გაძლიერეს მუშაობა ახალგაზრდობის აღზრდისათვის როგორც რევოლუციურ ტრადიციებზე, ისე დღევანდელი დღის ჰეროიკის მაგალითით. ამაღლდა ახალგაზრდობის მიერ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დაუფლების დონე, უფრო სრულყოფილი გახდა პოლიტიკური განათლების სისტემა. პოლიტგანათლების კომკავშირულ სისტემაში ფართოდ გავრცელდა ახალი ტიპის წრეები — „დიადი ნიშანსვეტები“, რომლებშიც ახალგაზრდობა სწავლობს პარტიის პროგრამას და ისტორიული ყრილობის სხვა დოკუმენტებს.

ამასთანავე, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებანი. იდეოლოგიურ მუშაობას ჯერ არა აქვს შეტეგეთი ხასიათი, კომკავშირელები არ აფარმოებენ მტკიცე ბრძოლას კაპიტალიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის გადმონაშთების წინააღმდეგ. საჭიროა ბოლო მოეღოს აგრეთვე ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ულირსი ყოფაქცევის ისეთ გამოვლინებებს, როგორიც არის ლოთობა, ხულიგნობა, მოქთაზორობა, რაც აღელვებს ჩვენს საზოგადოებრიობას.

კომუნისტური საზოგადოების წევრი ჰარმონიულად განვითარებული უნდა იყოს, სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე შეზამბული უნდა იყოს ფიზიკურ სრულყოფასთან. კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა დანერგონ ფიზკულტურა არა მარტო კოლექტივების ცხოვრებაში, არამედ ყოველ ოჯახში, ყოველი ქალიშვილის, ყოველი ჭაბუკის ყოფაცხოვრებაში. სუსტად ვზრუნავთ ჩვენ ფიზკულტურელთა კადრების მომზადებისათვის. ჩვენი მოვალეობაა მეგალწეოთ იმას, რომ 1963 წლის დამლევისათვის ყოველ 8-9 კაცზე მოდიოდეს ერთი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაიკავა შინაკომკავშირული მუშაობის საკითხებმა. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია იზრდება და მტკიცდება. დღეისათვის მას რიგებში გაერთიანებულია 365.538 ქალიშვილი და ჭაბუკი — 30.680-ით მეტი, ვიდრე XXIII ყრილობის წინ. ჩვენი ორგანიზაცია იზრდება არა მარტო რიცხობრივად, არამედ თვისობრივადაც. გაიზარდა კომკავშირელ მუშათა და კოლმეურნეთა რიცხვი.

დასასრულ ამხ. ჩერქეზია ამბობს: რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია ამაყობს, რომ თავისი საქმიანობით ამართლებს პარტიის მაღალ ნდობას. ყველაფერი, რაც გავაკეთეთ და რასაც ვაკეთებთ კარგს ჩვენ, — იმის შედეგია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურად აქცევს ყურადღებას კომკავშირის მუშაობას. ჩვენ მხურვალე მადლობას ვუძღვნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოზარდ თაობაზე ზრუნვისათვის და აღვუთქვამთ, რომ საქართველოს კომკავშირი მთელ ძალღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოახმარს კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმის ერთგულ სამსახურს.

ყრილობამ მოისმინა აგრეთვე საქართველოს კომკავშირის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გაიკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. კარტოზიამ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო გამართული კამათის მონაწილეები გაცხოველებით მსჯელობდნენ საქართველოს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ცხოვრებაზე, იმაზე, თუ რა თავდადებით შრომობენ რესპუბლიკის კომკავშირელები, მთელი ახალგაზრდობა საჭიროა ბოლო მოეღოს აგრეთვე ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ულირსი ყოფაქცევის ისეთ გამოვლინებებს, როგორიც არის ლოთობა, ხულიგნობა, მოქთაზორობა, რაც აღელვებს ჩვენს საზოგადოებრიობას.

კომუნისტური საზოგადოების წევრი ჰარმონიულად განვითარებული უნდა იყოს, სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე შეზამბული უნდა იყოს ფიზიკურ სრულყოფასთან. კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა დანერგონ ფიზკულტურა არა მარტო კოლექტივების ცხოვრებაში, არამედ ყოველ ოჯახში, ბაში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დასაჩქარებლად.

დღეს, როდესაც მთელი ჩვენი სამშობლოს მშრომელები უდიდეს აღფრთოვანებით შეუდგნენ პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებას, ჩვენ მადლობის გრძნობით აღვნიშნავთ კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის უმაგალითო სიმტკიცეს და რევოლუციურ ნებისყოფას, რომელმაც კვლავ გაბედულად და მთელი პირდაპირობით დაგვმო ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტი. ყრილობის დელეგატები განსაკუთრებული გულისწყრომითა ლაპარაკობდნენ მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის, ვოროშილოვის, ბულგანინის, პერეუხინის, საბუროვის და მათთან მომხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ.

ახლა ყველასათვის ნათელია, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი რესპუბლიკის პარტორგანიზაციას, ქართველ ხალხს პიროვნების კულტით წარმომობილმა უკანონობამ. საქართველოს კომუნისტებმა, რესპუბლიკის ყველა მშრომელმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი და მათი განხორციელება მიიჩნიეთ თავიანთ ღვიძლ საქმედ, ცხოვრების მიზნად და კომუნისტური მშენებლობის დიად დროშად.

საქართველოს კომუნისტთა 220-ათასიანმა რაზმმა პირობა მისცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია განუხრელად განახორციელებს პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. დაიცავს პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს, კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიული რიგების ერთიანობას და დაიცავს მის სიწმინდეს, კვლავ მაღლა ატარებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად დროშას.

შემდეგ ამხ. გეგეშიძე ამბობს, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა, მისი ავანგარდი — ლენინური კომუნისტური კავშირი კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილეა. კომკავშირი პარტიის საიმედო თანაშემწე და რეზერვია. პარტიის XXII ყრილობის ტრიბუნიდან ამხანაგმა ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მაღალი შეფასება მისცა ლენინური კომკავშირის მუშაობას. „ჩვენ ყველანი, —განაცხადა მან, — დიდად ვაფასებთ პარტიის მებრძოლი თანაშემწეს— ახალგაზრდობის სახელოვანი ლენინური კომუნისტური კავშირის საქმიანობას. მასთან არის დაკავშირებული ბევრი ჩვენგანის ცხოვრება. ბევრ კომუნისტს აქვს გავლილი კომკავშირის სკოლა. კომკავშირი ჩვენი მომავალია, ჩვენი რეზერვია. სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე საბჭოთა ახალგაზრდობა, კომკავშირელები ცხადყოფდნენ პარტიის მიერ დასახული ამოცანების ნათელ გაგებას. თავისი შრომით ისინი ადასტურებენ, რომ არიან დიდი რევოლუციური ტრადიციების ღირსეული მემკვიდრენი, თავიანთი მამებისა და დედების სახელოვანი. საქმეების განმგრძობნი“,

ეს სიტყვები, ახასიათებენ საქართველოს კომკავშირსაც, მის საქმიანობას. გიყურებთ თქვენ, ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკებისა და ქალიშვილების საუკეთესო წარმომადგენლებს, და გულს უხარია, რომ საქართველოს კომუნისტურ პარტიას ეზრდებიან დიდი რევოლუციური ტრადიციების ღირსეული მემკვიდრენი.

ღღეანდელი ყრილობა ნათლად გვიჩვენებს, რომ განვლილ ორ წელიწადში, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდი წარმატებების წლები იყო, საქართველოს ახალგაზრდობა არ ზოგავდა თავის ძალებსა და ენერგიას შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. საწარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით რაზმავენ ახალგაზრდობას პარტიის ახალი პროგრამით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

შვიდწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებაში, კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში უდავოდ შეაქვს თავისი წვლილი საქართველოს 365-ათასიან მძლავრ და ენერგიულ ახალგაზრდულ კომუნისტურ კავშირს.

ამხ. გეგეშიძე დიდი ქებით ლაპარაკობს კომუნისტური შრომის კოლექტივებსა და დამკვრელებზე, მოძავლის მზეურავებზე, შუქურებზე, მათს შრომითს თავდადებასა და მაღალ შეგნებულობაზე. დიდი სიამოვნებით მოვისმინეთ, ამბობს იგი, ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოსვლები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი სახით გვყავს ნამდვილი თანამედროვე გმირები, რომელთაგან მაგალითს უნდა იღებდეს ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი.

ჩაის მკრეფავები ნაირა გოგატაძე და იზოლდა წოწონავა, მშენებელი თამაზ ვამაძე, რაციონალიზატორი იოსებ ხაზარაძე, მქსოველთა ბრიგადირი აპოლონ ჩიქოვანი და ათასობით სხვა მოწინავე მტკიცედ დგანან კომუნიზმის ახალშენებათა ხარაჩოებზე, უშვებენ მაღალი ხარისხის პროდუქციას, აშენებენ ახალ ფაბრიკებსა და ქარხნებს. არაფერში ისე ნათლად და მკაფიოდ არ მოჩანს კომუნიზმის ყლორტები, ახალი ადამიანის სახე, როგორც კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში. მისთვის დამახასიათებელია არა მარტო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლა, არამედ ამ შედეგების მიღწევაც ფიზიკური ძალების დაუძაბავად, შემოქმედებითი შრომით, რომელშიც დიდ როლს ასრულებს გონება, საღი აზრი. მომავლის მზეურავებისათვის დამახასიათებელია მაღალი შეგნებულობა, კულტურა, დაუცხრომელი სწრაფვა ყოველივე ახლისაკენ, მათთვის უცხოა ეგოიზმის რაიმე გამოვლინება. ამ მოძრაობის უმაღლესი პრინციპია: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის.

მომავლის შუქურები ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბნებზე მოღვაწეობენ, მაგრამ მათ ერთი საერთო მიზანი აქვთ — არ დასჯერდნენ მოვალეობის უბრალოდ მოხდას, გულმხურვალედ მოეკიდონ ყოველივე იმას, რაც აუუხებს საწარმოს, კოლმეურნეობას, მშენებლობას, გამოავლინონ და აამოქმედონ ახალი რეზერვები. ამ ადამიანებმა კარგად იციან დროის ფასი, შრომა მათთვის შინაგან მოთხოვნილებად გადაიქცა.

ახალგაზრდობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა უბანზე ავირფას წამოწყებათა ინიციატორად გამოდის, იგი აქტიურად ებრძვის სახალხო მეურნეობაში ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, წარმოების რენტაბელობისათვის და პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. მოსაწონია თბილისის ახალგაზრდობის ლაშქრობა საწარმოთა მუშაობის რიტმულობისათვის. წარმოების რიტმულობა ნიშნავს: ახალი რეზერვების გამოვლინებას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მასალების ყაირათიან ხარჯვას, სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენებას, შრომის მაღალ ორგანიზაციასა და დისციპლინას, და, ბოლოს, ნიშნავს იმას, რომ დროზე მიაწოდო მეზობელ საწარმოს საჭირო პროდუქცია, გაუწიო მას საჭირო დახმარება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი იწონებს რესპუბლიკის დედაქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის, კერძოდ, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, ქარხნების „ჰლასტმასის“, „ელექტროგამშვების“, ხ. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნისა და სხვა საწარმოთა ინიციატივას, რომლებმაც მოაწყეს ლაშქრობა საწარმოთა რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად. ახლა საჭიროა მთელ რესპუბლიკაში გავავრცელოთ ეს წამოწყება.

ამხ. გეგეშიძე ამბობს, რომ საქართველოს ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას და დაიწყო ბრძოლა სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკანასკნელ წლებში სამუშაოდ მოვიდა ათეულ ათასობით ახალგაზრდა მშრომელი. ახალგაზრდა მეჩაიეებმა პირნათლად გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებანი ხორსხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის საქმეში. მათ დიდი წვლილი შეიტანეს ყველა მეჩაიის წარმატებაში, რომლებმაც გასულ წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 154 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“.

თავდადებით იშრომა მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, გუდაუთისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ახალგაზრდობამ. მათ არ აშენებთ არც ზაფხულის პაპანაქაება, არც ძნელი შრომა. ისინი მზრუნველად უვლიან ჩაის პლანტაციებს, აკეთებენ ყველაფერს, რომ საყვარელ სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი.

ჩვენს ყრილობაზე ბევრი ილაპარაკეს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში მომუშავე ახალგაზრდობის წარმატებებზე.

მნიშვნელოვან შემოქმედებითს წარმატებებს აღწევენ მეცნიერების, კულტურისა და ლიტერატურის ახალგაზრდა მუშაკები. იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები მთელ ძალღონესა და ცოდნას ახმარენ შრომელთა და პირველ რიგში ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეს.

ჩვენი ხალხი, ამბობს შემდეგ ამხ. გეგეშიძე, ყოველდღიური მამობრივი მზრუნველობით მოსავს ახალგაზრდობას — თვის იმედსა და მომავალს, თავის გმირულ საქმეთა მემკვიდრეს და განმგრძობს.

ახალგაზრდობა თავისი ბედის ბატონ-პატრონია. შეაქვთ რა თავიანთი წვლილი კომუნისტური მშენებლობის საქმეში, ჭაბუკები და ქალიშვილები მთელ ხალხთან ერთად დღითიდღე განამტკიცებენ საყვარელი სამშობლოს ძლიერებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. საბჭოთა ახალგაზრდობას კარგად აქვს შეგნებული, რომ მთელ თავის წარმატებებს, მთელ თავის მიღწევებს იგი უნდა უმადლოდეს დიადი კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

წარმატებები ლენინური კომკავშირის საქმიანობაში ბევრია. ამ წარმატებებით მთელი ჩვენი ხალხი ამაყობს. მაგრამ ჩვენ ბევრს ვერ ავუვლით ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში. ისინი ნაკლებად ამქღავნებენ ინიციატივას, იშვიათად გამოდიან ფართო კომკავშირული საქმეების წამომწყებად. ბევრი საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციები ამოფარებული არიან სამეურნეო მაჩვენებლებს და ფიზიკური ენერგიის ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდობის აღზრდის, პოლიტიკური განათლების, დასვენების საკითხებს. იშვიათი როდია ასეთი მაგალითები: ზოგი საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა მოწინავეა, გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებს. მექანიკურად მიაჩნიათ, რომ კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაც სათანადო დონეზე დგას. მაგრამ მეურნეობის ღრმად გაცნობა ყოველთვის როდი ადასტურებს ასეთ აზრს. თურმე ახალგაზრდობის ნაწილი გაურბის მუშაობას, ზარმაცობს, სუსტად მონაწილეობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ჩამორჩენილ მეურნეობებში ასეთ ნაკლოვანებებს მალე შეამჩნევთ, მოწინავეებში კი ერთი შეხედვით ვერ შეამჩნევთ. ამაც შეიტგად სახალხო დოვლათის გადიდებას დიდი რეზერვის სრული ამოქმედება ყოველდება. ცხოვრება მოითხოვს საქმის ისე დაყენებას, რომ კომკავშირული ორგანიზაცია აქტიურად აბამდეს თავის წევრებს კომკავშირულ მუშაობაში, რაზმადეს ახალგაზრდობას ენერგიული შრომისათვის.

ამხ. გეგეშიძე ეხება კომკავშირული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ამოცანებს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში სკკპ XXII ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით. კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა გაძლიერონ თავიანთი მებრძოლური მუშაობა, საქმიანობა, ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე. ცნობილია, რომ კომკავშირული ორგანიზაციები მიერ ხსარგებლო წამოწყების ინიციატორები არიან. ჩვეულებრივად ისინი მთელი ენერგიით, მგზნებარედ ეკიდებიან საქმეს. მაგრამ გადის დრო, და ზოგჯერ კარგი წამოწყება ნელდება ან თვითდინებით მიდის. მაგალითის სახით ამხ. გეგეშიძეს მოჰყავს კომკავშირული ლაშქრობა ჩაის პლანტაციებში სიმეჩხერის ლიკვიდაციისათვის. ბევრი პრაქტიკული საქმე განხორციელდა, მაგრამ შემდეგ მუშაობა შესუსტდა და ვალდებულებანი შეუსრულებელი დარჩა. ეს, რა თქმა უნდა, არ გვეპატიება. ასევე შეიძლება ითქვას სოფლების ელექტროფიკაციის, მშენებლობისადმი შეფობისა და ზოგიერთი სხვა თაოსნობის შესახებ, რომლებიც ბოლომდე არ იქნა მოყვანილი.

საკითხავია: რა მოხდა? ჩვენი აზრით, ჯერ ერთი, ის, რომ ვალდებულება ზოგჯერ კონკრეტული პირობების, არსებული ძალებისა და შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად არის ნაკისრი. გარდა ამისა, ვალდებულების შესასრულებლად ვერ ვეწეოთო საჭირო მოსამზადებელ ორგანიზატორულ მუშაობას, ჯეროვან ყურადღებას არ ვუთმობთ ახალგაზრდობის მობილიზაციას.

ახალგაზრდებს უნდა ვზრდიდეთ ცხოვრების იმ ოქროს კანონს, სულისკვეთებით, რომელიც ამბობს: სიძნელეების მიუხედავად ბოლომდე უნდა მივიყვანოთ ყოველი სასარგებლო წამოწყება.

კომკავშირის ბევრი რაიკომი დროზე არ გზავნის დამკვრელ ობიექტებზე მოწინავე ახალგაზრდობას. ახლა, როდესაც ენერგიის ჭეში, თბილისის თბოელექტროსადგური და მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი გამოცხადებულია დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობებად, საქართველოს კომკავშირის რაიონულმა, საქალაქო, საოლქო კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ კომკავშირული საგზურებით ახალგაზრდობის საჭირო რაოდენობით გაგზავნა. ამასთან ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ კომკავშირული საგზური ტურისტული საგზური არ არის, რომ მას სასეირნოდ ან გასართობად კი არ გზავნიან, არამედ ამტანანობასა და სიძნელეების გადალახვაში გამოსაცდელად.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მშენებლობებზე შექმნას ახალგაზრდა სპეციალისტთა ცხოვრებისა და შრომის, მათი დაოსტატების ყველა პირობა. აღგილობრივი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები კი უნდა ვაქციოთ მტკიცე ბრძოლისუნარიან რაზმებად, რომლებიც მჭეფარე, სისხლსავსე ცხოვრებას გააჩაღებენ.

ამხ. გეგეშიძე ეხება შინაკომკავშირული მუშაობის გაუმჯობესების ამოცანებს. იმისათვის, რომ რესპუბლიკის კომკავშირის ორგანიზაციების ცხოვრება სისხლსავსე იყოს და მათს მუშაობაში ყოველთვის ინიციატივის წყარო ჩქეფდეს, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, საჭიროა მკვეთრად გავაუმჯობესოთ ორგანიზაციული მუშაობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კომკავშირელი აქტიურად მონაწილეობდეს თავისი ორგანიზაციის მუშაობაში. კომკავშირულ აქტივთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხი ყოველთვის უნდა იყოს კომკავშირის კომიტეტების ყურადღების ცენტრში, აქტივის ბირთვს ყურადღებიან კომკავშირის რაიონული, საქალაქო კომიტეტები და ცენტრალური კომიტეტი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი კომკავშირული ორგანიზაცია, სადაც ნაკლები ყურადღება ექცევა კომკავშირული კრებების მომზადებასა და ჩატარებას. ზოგან ავიწყდებათ, რომ კომკავშირული კრებები ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. საჭიროა ვაწყობდეთ კრებებს მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, ფართოდ უნდა გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, განვავითაროთ კომკავშირის თვითეული წევრის ინიციატივა.

საქართველოს კომკავშირმა დიდი მუშაობა გასწია თავისი რიგების ზრდის საქმეში. ეს მოწმობს, რომ ჩვენი პირველადი კომკავშირის ორგანიზაციები მიზანდასახულად წარმართავენ თავიანთ მუშაობას, აქტიურად იზიდავენ ახალგაზრდობას კომკავშირის რიგებში. ამასთან ერთად არ შეიძლება არ შეგვიჩეროთ დელეგატების ყურადღება იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც აქვს ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციას კომკავშირში ახალგაზრდების მიღების საქმეში. კომკავშირის ზოგიერთი რაიკომი არ ზრუნავს კომკავშირში მისაღები ახალგაზრდობის მომზადებისათვის. მათ ალბათ აავიწყდებათ, რომ კომკავშირში შესვლა დიდი და სასიხარულო მოვლენაა თვითეული ჭაბუკისა და ქალიშვილისათვის. თვითეულ ახალგაზრდას უნდა ახსოვდეს ის დღე, როცა იგი კომკავშირის რიგებში მიიღეს. აბა ერთი მოიხსენიეთ, სა სიხარული, რა პასუხისმგებლობა უნდა ეგრძნო იმ 73 ახალგაზრდას, რომლებიც ქალაქ თბილისის პირველი მაისის კომკავშირის რაიკომმა თავის ერთ სხდომაზე მიიღო? ამ დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები საქმისადმი ასეთი მიდგომა ნამდვილი ფორმალიზმია.

ამხ. გეგეშიძე ლაპარაკობს კომკავშირის ორგანიზაციების ამოცანებზე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. შრომაში, საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაში იბადება და იქმნება ახალი ადამიანი, ყალიბდება მისი ზნეობრივი სახე. კომუნისტური საზოგადოების წევრის აღზრდა კომკავშირული ორგანიზაციების მთავარი საზრუნავი უნდა-გახდეს. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ აღზრდა იწყება ოჯახში, სასკოლო მერხიდან.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კომკავშირელი გამსჭვალული იყოს კომუნისტური მორალის გრძნობით, რომელიც საბჭოთა ხალხის საუკეთესო თვისებებს განასახიერებს. კომუნიზმის მშენებლობის ხარაჩოებზე თავდადებული შრომა, ხალხისადმი უანგარო სამსახური, დიდი ნებისყოფა და სულიერი სიმტკიცე, გმირობა და მამაცობა — აი ჩვენი საამაყო ჭაბუკებისა და ქალიშვილების მორალური სახე.

სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილში შეინიშნება არასერიოზული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. ჩვენს დიდ მიღწევებს მეცნიერებისა და ტექნიკაში, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზოგიერთი ახალგაზრდა თითქოს ვერც კი ამჩნევს, ხოლო ყოველივე უცხოურს, რა უმნიშვნელოც, რა ნაგლეჯი უნდა იყოს იგი, — აფასებენ. ყოველივე უცხოურის წინაშე ამ ქედმოხრაში იგრძნობა გარკვეული გავლენა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, უცხოური წიგნებისა და კინოფილმებისა, რომლებშიც ტენდენციოზად არის ნაჩვენები კაპიტალისტური ყოფაცხოვრება.

ჩვენი ვალია გადაჭრით ვებრძოლოთ ამგვარ გამოვლინებებს. საჭიროა ნათლად, გასაგებად ვუჩვენთ ჩვენს ახალგაზრდობას კაპიტალიზმის ნამდვილი, შეულამაზებელი სახე, ჩამოვხსნათ მას ბურჟუაზიის ამოლოგეტების მიერ ჩამოკიდებული ბრჭყვიალა და ელარუნა „სამკაულები“ და დავანახვოთ ახალგაზრდობას, თუ როგორ უარესდება კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში მშრომელთა ცხოვრების დონე, რა სულიერ სიცარიელეს განიცდის იქ ახალგაზრდობა. მეორე მხრივ, უნდა ვავითარებდეთ საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობას, ყოველივე მშობლიურისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს ახალგაზრდობის აღზრდას ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. კომკავშირული ორგანიზაციები ინდივიდუალურ მუშაობას უნდა ეწეოდნენ თვითეულ ჭაბუკთან და ქალიშვილთან.

ჩვენ ჯერ კიდევ გვყავანან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც არაფერს არ აკეთებენ, სხაფიან წვრილმან, ხოლო ზოგნი სასლის სამართლის დანაშაულსაც, ლოთობენ, ხულიგნობენ. ეს იმის შედეგია, რომ ზოგან სათანადო ზრუნვას არ ინენენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ახალგაზრდობის ჩაბმისათვის. კომკავშირის ორგანიზაციები არ სწავლობენ თავიანთი წევრების მუშაობას, ცხოვრებასა და დასვენებას. სუსტი ნებისყოფის ახალგაზრდები ექცევიან ბორტოქმედი ელემენტების მავნე გავლენაში.

ნაწილი ახალგაზრდობისა გაურბის საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევა სპეკულაციას, ხელით და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებით. მარტო მოსკოვში გასული წლის სექტემბერში მხილებულ იქნა 30 ასეთი ახალგაზრდა. შეუწყნარებელია, რომ კომკავშირული ორგანიზაციები გულგრილად უყურებენ ამ სამარცხვინო ფაქტებს.

უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ახალგაზრდობაში ლოთობის წინააღმდეგ. ამ ბოლო დროს ლოთობა ყველა საზღვარს გასცდა და ხშირად ამას ქართულ ტრადიციებს მიაწერენ. ამით შეურაცხყოფას აყენებენ ჩვენს ტრადიციებს. ღვინო ქართველი კაცისათვის ყოველთვის იყო სუფრის დამამშვენებელი, ლხინისა და ყოველგვარი სიხარულის თანამგზავრი და არა თავაშვებულობის საბაბი.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უღმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ჩვენს ახალგაზრდობაში ამორალურ ვამოვლინებებს. თვითეული ფაქტის გარშემო უნდა შეიქმნას ობიექტური საზოგადოებრივი აზრი. მაგრამ სამწუხაროდ არის შემთხვევები, რომ ასე როდი ხდება.

„ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ, — ამბობდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი პარტიის XXII ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, — რომ ძველი სამყაროს ჯერ კიდევ გვიან ლის ხელს ძველი იდეებით და ჩვევებით. უნდა ვიქნეოთო მხედველობაში, რომ არიან ახალგაზრდა

◇ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ ◇

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲘᲠᲐᲚᲓᲐᲜᲘ

გადაბარებულად ნუ ჩათვლით ამ სათაურს. თვითონ განსაჯეთ, რა ვუწოდოთ ელექტროსადგურს, რომელიც ზღაპრული სიხარბით შენდება და რომელიც მოგვცემს იმდენსავე ენერგიას, რამდენსაც ამჟამად იძლევა საქართველოში არსებული ყველა ჰიდროელექტროსადგური. მართლაც რომ საქართველოს მთავარი ჩირაღდანი და ჩვენი სიამაყე იქნება იგი.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველს უფრო დაწვრილებით მოვუთხროთ დიდებული შვიდწლედის ამ უდიდესი ნაგებობის შესახებ.

დავიწყოთ თავიდან.

ეს იყო ორი წლის წინათ, ქუთაისის მახლობლად გუმათჰესის მშენებლობაზე ემდებარეობდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. იმ საღამოს მშენებლობის უფროსმა ვახილ ყაჯლაშვილმა კრების ტრიბუნიდან თქვა:

— მინდა გაცნობოთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ოქტომბრის მომავალი დღესასწაულის აღნიშვნა ჩვენ მოგვიხდება ახალ ადგილას. ჩვენი ამოცანა აქ, გუმათში, შესრულებულია პატიოსნად, ჰიდროელექტროსადგურები ნორმალურად მუშაობენ და უკვე იძლევიან დენს. ახლა ჩვენ პარტია გვაგზავნის სხვაგან, რათა ავაგოთ კიდევ ერთი ახალი ელსადგური. ასეთია ჩვენი ხვედრი, საბჭოთა მშენებლების საპატიო ხვედრი...

არ გასულა დიდი ხანი და ჩვენი კოლექტივი „გადასახლდა“ უკაცრიელ მინდორზე, გარდაბნის მასლობლად. აქ სულ სხვა პირობები იყო, ვიდრე ტყიბულსა და გუმათში. მოების ნაცვლად აქ გარშემო მზისაგან გადახრუკული ვაკეები გვერტყა. ვაშენებთ არა ჰიდროელსადგურს, არამედ თბოსადგურს. დიდი სიხარულით შეკუდექით საქმეს და, როგორც ხედავთ, ხალხისა და ქვეყნის წინაშე არ შევრცხვენილვართ.

თითქმის ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც გაუვალ ტალახსა და თოლ-ქუაში ქართველმა მშენებლებმა პირველი კუბმეტრი მიწა ამოვიღეთ. მოკლე დროში ბევრი რამ გავაკეთეთ. შორიდანვე იგრძნობა მშენებლობის მძლავრი სუნთქვა, მოასფალტებულ ფართო გზებზე, რომლებიც მთავარი მოედნისკენ მიემართებიან, გუგუნით დაჰქრიან სხვადასხვა მარკის ავტომანქანები, მძიმე თვითსაცლელები ათასნაირ საშენ მასალებსა და ტვირთს ეზიდებიან მშენებლობის ყველა უბანში. მარტო სამანქანო გზის გაყვანას როდი დავჯერდით. სადგურ გარდაბნიდან რკინიგზის შტო გავიყვანეთ. დროდადრო ისმის ორთქლმავლის კვნესა, საიდან არ მოდის ტვირთი. ხეტყე — ასტრახანიდან, ლითონის კონსტრუქციები — მოსკოვიდ ა ნ და ურალიდან, ცემენტი — კასპიდან, ასაწყობი კონსტრუქციები — ქუთაისიდან. მოვა დრო და სპეციალური ეშელონი აქ ჩამოიტანს ტურბინებს, ქვაბებს და სხვა რთულ მოწყობილობას, ძმური გრძნობით გამოგზავნილს ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

ყველამ იცის, რომ სათანადო კომუნიკაციების უქონლად არ შეიძლება რაიმე დიდი ნაგებობის მშენებლობა. აქ უკვე მზად არის საამედო კომუნიკაციები. აგებულია და წარმატებით მოქმედებს ნახევრადავტომატური ბეტონი ს ქარხანა, რომელიც დღეღამეში ათასობით კუბმეტრ ბეტონს იძლევა. კარგად მუშაობს მექანიკური სახელოსნოები, სახერხი ქარხანა, აგებულია დიდი საწყობები და სხვა დამხმარე ნაგებობები.

დღეს სავსებით შეცვლილია ველის ამ უკანასკნელი კუთხის ხედი. უკვე მკაფიოდ ჩანს საქართველოს ახალი ენერგეტიკული ნიამაყის სილუეტი: მაღლა ცაში აწვდილია მთავარი კვამლსადენი მილი, მოჩანს ტანწერწეტი კოლონები ხიდურა ამწის გასამართავად, მოვაწყეთ საორთქლე ქვაბების დასამონტაჟებლად საჭირო რკინაბეტონის საფუძვლები, რომლებიც მიწიდან ამომძვრალ გიგანტებად ჩანან, და ყოველივე ამას ფარგლავს ე. წ. დამხმარე გაერთიანებული კორპუსი, სადაც უნდა მოეწყოს სამართავი პულტი, ლაბორატორიები, სადგურის შეუფერებელი ექსპლოატაციისათვის საჭირო სხვა სასამსახურო ოთახები. მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობაც წარმატებით ხორციელდება. ჰაერსადენი, წყალსადენი, კვამლსადენი და დენსადენი ქსელების მოწყობაც მთავრდება, რკინიგზის შტოც მოყვანილია პირველი დანიშნულების ადგილამდე. ერთი სიტყვით, მშენებლობა მზადყოფნის ისეთ დონეზეა, რომელზეც, წინასწარ ვარაუდით, გაცილებით უფრო გვიან უნდა ყოფილიყო.

გული ხარობს, მშენებელთა ახალ დაბას რომ ათვალიერებ. კოხტა სამსართულიანი სახლები და ლამაზი კოტეჯები, რომლებიც თანდათანობით მაღლდებიან და მრავლდებიან, დიდი ქალაქის კეთილმოწყობილ უბანს მოგაგონებთ ყველაფერი, კომუნალური მეურნეობის ყველა სიკეთე ექნებათ დაბაში მცხოვრებთ. აქ იქნება მწვანეში ჩაფლული ეზოები და ანკარა წყალი, ცენტრალური გათბობა რკალიანი ღრუ სვეტები ასაწყობი რკინაბეტონისგან. ერთი სვეტის წონა 39 ტონას აღემატება.

სადგურის მუშაობა არ გამორიცხავს თხეკადი საობობის — მაზუთის გამოყენების შესაძლებლობას. ამ მიზნით შენდება რამდენიმე ათასი ტონის ტევადობის რეზერვუარები ასაწყობი რკინაბეტონისაგან, რაც პირველია აგრეთვე საბჭოთა კავშირში. რეზერვუარების გადახურვა ეწყობა სპორტის სასახლის გადახურვის ტიპის მიხედვით ასაწყობი რკინაბეტონის ფილებისაგან.

ცხადია, ასეთ დიდ წარმატებას ვერ მივაღწევდით, ჩვენთან ერთად ნაყოფიერ მუშაობას რომ არ ეწეოდნენ ტრესტ „საქენერგომშენის“ კოლექტივები. სახელდობრ, მაღალი ძაბვის ქსელების მშენებლობის სამმართველო ნ. ბელიაშვილის ხელმძღვანელობით, მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველო დ. ყიღენტის ხელმძღვანელობით და ავტოსატრანსპორტო სამმართველო ი. მირზიაშვილის ხელმძღვანელობით.

ზამთარია, მაგრამ თოვლი არ ჩანს, ციდან თითქოს გაზაფხულის მზე დაგვცქერის. ათვალიერებ მშენებლობის უბნებს და გინდა რაც შეიძლება მეტი დაიხსომო, რადგან ახლო მომავალში აქ ბევრი რამ შეიცვლება, ზოგ ნაგებობას ზემოდან მიწა და მწვანე ნარგავები დაფარავს, ზოგს წყალი. თუმცა აქ ჰიდროსადგურს როი ი ვაშენებთ, მაგრამ წყალი აქაც არის საჭირო. გარდაბნის სარწყავი სისტემის არხი აქაც მოიტანს კავკასიონის ნაყურს, თუ[illegible]ცა ამჟამად არსებული არხი ვერ გაატარებს იმდენ წყალს, რომ მომავალი ელსადგურის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ამიტომაც მალე გავაფართოებთ არსებულ არხს, მოიმატებს წყლის დებიტი. ჩავაყოფთ რკინაბეტონის მილებს, რომლებიც

ბეტონენთა ბრიგადები. შრომაში ყველას გაუსწრეს და ნამდვილი მანათობელი „შუქურები“ არიან დურგალთა ბრიგადა, რომელსაც რაფიელ ფირუმიანი ხელმძღვანელობს და მემონტაჟე ალექსი ქამუშაძე.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენს წარმატებაში ახალგაზრდა ინჟინრის ზურაბ ახალაძის დამსახურება. მან გამართა ბეტონის ნახევრადავტომატური ქარხანა და მოაწყო ასაწყობი რკინაბეტონის პოლიგონი. ყველა სპეციალისტმა, ვინც კი ეს ქარხანა და პოლიგონი, დაათვალიერა, მოიწონა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს კომისიამ განსაკუთრებით მოიწონა ბეტონის ქარხნის ნაყოფიერი მუშაობა. კომისიის წევრები განაცვიფრა პოლიგონის მეტად გონივრულად მოწყობამ.

როგორც სიახლე, საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენს სადგურზე შენდება გენერატორის საძირკველი ღრუ სვეტები ასაწყობი რკინაბეტონისგან, რადიო და ტელევიზია. ამას დავუმატოთ საკუთარი კლუბი, მაღაზიები, კლინიკა, სბაბავშვო ბაღი და ბაგა, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი...

ამას წინათ ჩვენთან ჩამოვიდა სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს კომისია, რომელიც გაეცნო მშენებლობის მიმდინარეობას. დიდად მოეწონა შრომის ორგანიზაცია, მშენებელთა მუშაობა და გამოთქვა აზრი, რომ ეს მშენებლობა სანიმუშოდ გამოცხადდეს.

ჩვენი მუშაობის ეს მაღალი შეფასება უნდა მიეწეროს იმ ცალკეული სამშენებლო უბნების კოლექტივებს, რომლებსაც ენთუზიასტი ინჟინრები როსტომ გაჩჩილაძე, აკაკი ღამბაშიძე, გურამ კასრაძე, მიხეილ ტროკაშვილი და ავთანდილ ნებიერიძე ხელმძღვანელობენ. ამ კოლექტივებს მრავლად ჰყავთ მშენებლობის „შუქურები“ და ეს „შუქურები“ არიან არა მარტო ინდივიდუალურად მომუშავენი, არამედ ბრიგადებიც. მაგალითად, მშენებელთა მთელი კოლექტივის სული და გული არიან ვალერიან ბერაიას და ივანე ზიაბკინის კომპლექსური ბრიგადები, ვლადიმერ დულგაროვის, ილია ფურცელაძის და ვარლამ ფრიდონაშვილის მე-

◇ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲗᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲝᲠ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲚ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲬᲘᲜᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲐᲛᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲜᲒᲐᲜᲗᲝᲑᲐ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲒᲐᲜᲗᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲢᲘᲡᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲮᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ. ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲐᲛᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲗᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲝᲠ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲚ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲐᲛᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲐᲛᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲚᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲐᲛᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲚᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲖᲔ

დათვალიერებაზე შესამჩნევი იყო ქანრული ერთფეროვნება. ყველა ავტორმა ძირითადად წარმოადგინა ნაწარმოებები ან სიმფონიური ორკესტრისათვის, ან სოლო ფორტეპიანოსათვის ორკესტრის თანხლებით. ძნელია რითიმე გავამართლოთ ასეთი შემოქმედებითი შეზღუდულობა, რის შედეგადაც დათვალიერება მრავალმხრივი არ იყო.

დათვალიერების ყველაზე დიდ ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ ის ამბავი, რომ ერთის გარდა სრულიად არ წარმოუდგენიათ ნაწარმოებები ხმისათვის. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ავტორებს აშკარად

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ

ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐᲗ. [illegible] ᲔᲠᲗᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ, ᲗᲣ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ ᲡᲐᲝᲪᲠᲘᲡ ᲩᲐᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ ᲡᲐᲝᲪᲠᲘᲡ ᲩᲐᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲛᲘᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ.

ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲠᲕᲔᲖᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ ᲡᲐᲝᲪᲠᲘᲡ ᲩᲐᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕ

კუბის ბედი

ლათინური ამერიკის ბედია

ამერიკის ხალხთა კონფერენციის დეკლარაცია

ჰავანა, 28 იანვარი. (საკდესი). ჰავანაში მუშაობა დამთავრა კუბის მხარდაჭერისათვის ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა მხრივ მისი თავისუფლებისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ გამართულმა ამერიკის ხალხთა კონფერენციამ, რომელიც მოწვეულ იქნა ლათინური ამერიკის თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფის ინიციატივით, რომელთაც მექსიკის ყოფილი პრეზიდენტი ლასარო კარდენასი მეთაურობდა. კონფერენციამ მოიწონა დეკლარაცია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

არავითარ მთავრობას ან ორგანიზაციას, როგორი ძლიერიც უნდა იყვნენ ისინი, არა აქვს უფლება ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა სამნიო საქმეებში ეკონომიური იძულების, დიპლომატიური ძალდატანების, შეიარაღებული შეჭრის ან სხვა რაიმე გზით. მიტომ დელეგაციები, რომლებიც ამ კონფერენციაზე შეკრიბნენ, გადაჭრით გმობენ ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალიზმისა და მისი დომჭაშვების განუწყვეტელ აგრესიულ გამოხდომებს კუბის ხალხის წინააღმდეგ, კერძოდ, დაჭრავებულთა შეიარაღებულ თავდასხმას პლაია-ჰირონზე.

ხალხები თავიანთი ბედის ბატონ-პატრონნი არიან და არაფერს არ შეუძლია აიძულოს ისინი — შეურიგდნენ დამღუპველ დამოუკიდებლობას, სოციალურ უსამართლობასა და ქრონიკულ შიმშილს, რომელთა მსხვერპლიც იყვნენ ისინი საუკუნეთა მანძილზე მათი ბუნებრივი სიმდიდრეების ძარცვისა და მათი შრომის ექსპლოატაციის შედეგად.

კუბის წინააღმდეგ ჩრდილოეთ ამერიკის დანაშაულებრივი შეთქმულებისა და ინტერვენციის გამო ამერიკის ხალხთა კონფერენცია აცხადებს, რომ მტკიცება, თითქოს კუბის რევოლუცია პატივს არ სცემს ადამიანის უფლებებს, აბსოლუტური სიცრუეა. პირიქით, მთავრობები, რომლებიც ბრალს სდებენ კუბას, ფეხქვეშ თელავენ ამ უფლებებს და უმოწყალოდ დევნიან მოქალაქეებს იდეოლოგიური, პოლიტიკური და სხვა მოტივებით. ზუსტად ასევეა სიცრუეა მტკიცება, თითქოს კუბა ხელყოფს თავისუფლებას და განზრახული აქვს ჩაერიოს სხვა ხალხთა საშინაო ცხოვრებაში.

კუბის რევოლუცია არავის არ ემუქრება. ეს არის სახალხო რევოლუცია, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ამერიკის კონტინენტს. და კუბისათვის ბრალად დადება, რომ მას სურს თავს მოახვიოს თავისი რევოლუცია სხვა ხალხებს, ყოველგვარ აზრს მოკლებულია. ის ფაქტი, რომ კუბა სოციალისტურ სახელმწიფოდ აცხადებს თავს, უკანონო არაა და არ შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა. ეს თავისი ბედის ბატონ-პატრონი ყოველი ხალხის ხელშეუვალი უფლებაა. ეს არ არის სხვა კონტინენტიდან ინტერვენციის რაიმე ფორმა.

ამერიკის ხალხთა კონფერენცია უკუაგდებს პუნტა-დელ-ესტეს თათბირს და გმობს მას როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი ლათინურამერიკელი ლაქიების მანევრს, რომლითაც ცდილობენ დაფარონ ახალი აგრესია კუბის წინააღმდეგ და მოამზადონ მომავალში აგრესიები ლათინური ამერიკის დანარჩენი ქვეყნების წინააღმდეგ. ამერიკის ხალხთა კონფერენციას თვითნებობად მიაჩნია მისწრაფება — დაგმონ კუბა, ბრალად დადონ მას დანაშაული, რაც არ ჩაუდენია. კონფერენცია გმობს ანტიკომუნისტურ დაჯგუფებათა შექმნას, აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალისტურ პოლიტიკას, რამდენადაც არ არსებობს ისეთი იურიდიული საფუძველი, რომელიც ბაამართლებდა კუბის წინააღმდეგ მიმართულ ამგვარ ღონისძიებებს. პირიქით, სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები იმსახურებენ მკაცრ სასჯელს, როგორც აგრესორი, სამართლის ყველაზე ელემენტარული ნორმების შესაბამისად.

კუბის ბედი ეს არის ბედი 200 მილიონი ლათინურ ამერიკელისა, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რომ დამასხვრიონ მონობისა და სიღატაკის ბორკილები. გუშინ ჩვენმა განმათავისუფლებლებმა გაიმარჯვეს, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა. მათი მაგალითით მთაგორებულნი ვიბრძოლებთ ჩვენი სრული განთავისუფლებისათვის! „ვინც დღეს აღდგა კუბასთან ერთად, — ამბობდა მარტი, — ის სახელს გაითქვამს საუკუნეებში“.

ტელეგრაფი გვაცნობებს

ნიუ-იორკი, 28 იანვარი. (საკდესი). ამერიკელი შავრაზმელები, რომლებსაც აქეზებს დემოკრატიული ელემენტების სასამართლო დევნის კამპანია, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მოაწყო, მიმართავენ შეიარაღებული ტერორის მეთოდებს.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო იუწყება, დღეს ლოს-ანჟელოსში აფეთქდა ბომბი შენობის წინ, რომელშიც მოთავსებულია პროგრესული გაზეთის „პიპლს დეილი უორლდის“ რედაქცია და კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

ჯაკარტა, 28 იანვარი. (საკდესი). ინდონეზიის საპარლამენტო ჯარების სარდლმა პოლკოვნიკმა ვირიადინატამ უბრძანა ამ ჯარების დამკვრელ ქვედანაყოფებს, რომლებიც ბანდიტების საბრძოლო აეროდრომზე იმყოფებიან, მზად იყვნენ დასავლეთ ირიანის განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. ჩვენმა მთავრობამ, ნათქვამია ბრძანებაში, საკმაო მოთმინება გამოიჩინა და პოლანდიელთა პროვოკაციული პოლიტიკას მოთმინებით უპასუხებდა 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ჰოლანდიელები ყოველნაირად ატყუებდნენ ჩვენს ხალხს. მათ ჩაიდინეს მიუტევებელი მოქმედება.

გიზენგას დასაცავად

ნიუ-იორკი, 27 იანვარი. (საკდესი). დემონსტრანტთა დიდი ჯგუფები მეიერრაბა გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობასთან ლეოპოლდვილში, რათა გამოეხატათ თავიანთი აღშფოთება იმის გამო, რომ ანტუან გიზენგა უკანონოდ ჰყავთ დაკავებული მობუტუელ პარამუტისტთა საძიებელ ბანაკში.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, კონგოელთა დემონსტრაცია ამერიკის საელჩოს შენობასთან იმ დროს დაიწყო, როცა იქ ხმები გავრცელდა, რომ გიზენგა, რომელიც დაპატიმრებული ჰყავთ, მობუტუს პარამუტისტებმა მოკლესო.

დემონსტრანტები გაიძახოდნენ ლუმუნგბას: „ძირს იმპერიალიზმი!“, „გაუმარჯოს გიზენგას!“.

პარიზი, 27 იანვარი. (საკდესი). გუშინ ანტუან გიზენგას დასაცავად მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე ბელგიისა და პორტუგალიის საელჩოთა შენობებთან ლეოპოლდვილში.

როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება ლეოპოლდვილიდან, დემონსტრაციაზე შეკრებილი კონგოს დედაქალაქის მცხოვრებნი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ანტუან გიზენგა პატიმრობიდან. დემონსტრანტთა რიგებიდან გაისმოდა მოწოდებანი: „გაუმარჯოს გიზენგას!“, „გაუმარჯოს მშვიდობას!“, „ძირს იმპერიალიზმი!“.

გუშინვე საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინასთან ლეოპოლდვილში. დემონსტრანტები ხმამეწყობით გაიძახოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისამართით: „ძირს მესაბოტაჟეენ!“.

დემონსტრანტთა გასაფანტავად გამოყენილ იქნა შეიარაღებული პოლიციის დიდი რაზმები. დემონსტრაციის მონაწილეთა შორის პოლიციამ მრავალი ადამიანი დააპატიმრა.

მღელვარება ვენესუელაში

კარაკასი, 27 იანვარი. (საკდესი). თუმცა ვენესუელი ტრანსპორტის მუშაკთა საგაფიცვო ბრძოლა, რომელიც საბრკოლობალში დაიწყო და შემდეგ მთელ ამ ქვეყანას მოედო, გაფიცულთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ არ წყდება მღელვარება ვენესუელაში. ზოგან გამოსვლები გაფიცულ მეტრანსპორტეთა მხარდასაჭერად გადაიქცა კუბის დაცვის, შეერთებული შტატების აგრესიული გეგმების წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობად. პრესის ცნობებით, მარტო ერთ დღეს, 25 იანვარს, კარაკასსა და სხვა ქალაქებში მოკლულ იქნა სტუდენტთა დემონსტრაციების სამი მონაწილე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ დაპატიმრებულია 500 კაცი.

ბოლივარის (ლარას შტატი) მუნიციპალიტეტში გლეხებმა დაიკავეს გუბერნატორის მამული, რადგანაც გლეხთა ფედერაციის ხელმძღვანელების განცხადებით, „დავიღალეთ ლოდინით, სანამ შეასრულებდნენ დაპირებას — მოეცათ ჩვენთვის მიწა, რასაც ამ ორი წლის წინათ აღგვითქვამდა ეროვნული აგრარული ინსტიტუტი“.

გაზეთი „რეპუბლიკა“ იუწყება, რომ ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებმა გარეკეს გლეხები მამულიდან. გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც ერთი მათგანი მოკლეს და სამი დაჭრეს.

რაზომ ჩამოაგდეს ავომური ბომბი?

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება ატომური ბომბის გამოყენების შესახებ. პრეზიდენტის აზრით, თუ ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ იაპონია განაგრძობდა ომს, სსრ კავშირი წინათ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე უნდა გამოსულიყო იაპონელების წინააღმდეგ (საბჭოთა მთავრობამ ხუსტად შეასრულა თავისი ეს ვალდებულება). ხოლო თუ იაპონიის სამხედრო მანქანაზე ამ დარტყმის შემდეგ იგი არ დანებდებოდა, რუზველტს განზრახული ჰქონდა აეფეთქებინა ბომბი უდაბნო ადგილს ყველა ქვეყნის ჟურნალისტებისა და ექსპერტების (მათ შორის იაპონელებისაც) თანდასწრებით. ამრიგად იაპონიის ხელმძღვანელები შეიტყობდნენ, რა მოელოდა მათს ქვეყანას, თუ ისინი ჯიუტად განაგრძობდნენ ომს. მაგრამ პრეზიდენტმა ტრუმენმა, რომელმაც განსვენებული რუზველტი შეცვალა, მიიღო შემაძრწუნებელი გადაწყვეტილება ჩამოეგდო ატომური ბომბები იაპონიაში, თუცა მისი მრჩევლები ყველანი იმ აზრისა იყვნენ, რომ იაპონელები სადაც არის კაპიტულაციას მოახდენდნენ.

ამერიკის მაშინდელ ხელმძღვანელებს სხვა რამ ჰქონდათ გულში. ჩერჩილი თავის მემუარებში ადასტურებს: „შეერთებულ შტატებს არა სურთ, რომ რუსებმა მონაწილეობა მიიღონ იაპონიის წინააღმდეგ ომში“, თუმცა რუზველტს სურდა ეს.

თარიღები მამხილებელი ხდება: აქტი გერმანიის უსტაყვო კაპიტულაციის შესახებ ხელმოწერილ იქნა 1945 წლის 8 მაისს. ზუსტად სამი თვის შემდეგ სსრ კავშირმა, შეთანხმების შესაბამისად, დაიჭერა თავისი ჯარები მანჯურიისაკენ. ეს მოხდა 8 აგვისტოს. 6 აგვისტოს კი, პოტსდამის კონფერენციის დროს, ჩამოგდებულ იქნა პირველი ატომური ბომბი ხიროსიმაზე. ცხადი იყო, რომ ტრუმენს უნდოდა დაემნებინა სსრ კავშირი თუნდაც ასეთი ათასობით ადამიანის დაღუპვის ფასად.

ტრუმენის ოფიციალური ბიოგრაფი დანიელსი როდი ფარავს სასტიკ სიმართლეს. მას მოჰყავს ტრუმენის სიტყვები: „თუ ჩამოვაგდებთ ატომურ ბომბს, რის გაკეთებას მე კიდევაც ვაპირებ, მე, რა თქმა უნდა, მივიღებ მძლავრ იარაღს რუსების წინააღმდეგ“. ამერიკის მაშინდელი სამხედრო მინისტრი სტიმსონი ცინიკურად აღიარებს: „საჭირო იყო გამოგვეყენებინა ატომური ბომბი, რათა გვეიძულებინა საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელები დათმობებზე წასულიყვნენ...“ ჯეიმს ბირნსი (შემდეგში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი) იმ დროს ამერიკელ მეცნიერმეატომეთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში განმარტავდა, რომ „ატომური ბომბი გამოყენებულ იქნა არა იმდენად იაპონიის წინააღმდეგ, რამდენადაც რუსების წინააღმდეგ, რათა მათ მეტი დამთმობლობა გამოეჩინათ ევროპის საქმეებში“.

ასეთია სიმართლე ხიროსიმასა და ნაგასაკის მცხოვრებთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

გაზეთი „ლუმანიტე“.

ძია სემი: „ვყიდულობ დამქაშებს, ყველას, ვისაც სურს ჩაახრჩოს კუბა. ნაღდ ფულს ვიძლევი“. კედზე წარწერაა: „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია“.

ნახატი კუბის გაზეთიდან „ნოტისიას დეიო“.

ბუნიდან მუნაბერი ქარი...

სპორტსმენთა სამყარო ღელავს. მაგრამ ეს მღელვარება როდია გამოწვეული ცნობებით შესანიშნავი რეკორდებისა ან სენსაციური სპორტული გამარჯვებების შესახებ. უკანასკნელ დღეებში ტელეგრაფს შემაშფოთებელი ცნობები მოაქვს ნატოს აგრესიული ბლოკის ახალი პროვოკაციების შესახებ — ამჯერად სპორტში.

ქარი ბონიდან ქრის. ყელში აქვთ გაჩხერილი ბონელ მოღვაწეებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ისინი მოხარული იქნებოდნენ, შჰიერინის გმირისამებრ, „დაეხვრათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა“, მაგრამ ეს მათ არ ძალუძთ! ბონის ზეგავლენა მოქმედებს ზოგიერთზეიგივე ადამიანები, რომლებიც იმერებენ, რომ სპორტი პოლიტიკის გარეთაა, ცდილობენ სპორტული მოძრაობა თავიანთი ბინძური მიზნებისათვის გამოიყენონ. ჰოლანდიელმა ხელისუფლებამ შესასვლელი ვიზა არ მისცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიდოსტატ ულმანს — იგი საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირზე მიღიოდა. ოლიმპიური ჩემპიონი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში რეკორდგული გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არ შეუშვეს. საფრანგეთის დასავლეთ ბერლინის საკონსულომ უარიც კი თქვა მიეღო თხოვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამთომოთხილამურეთა მაჯა. ამ ფაქტს ბონელ ფაშისტებს ეგონათ, რომ ამ ფაქტებით ამერიკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ეგზეკიელ დასავლეთელ მოკავშირეთა ჯარებმა. ამავე ბროშურის ავტორები უამრავ ცილს წამებენ დემოკრატიულ ბერლინს.

ეხებიან რა ორ სახელმწიფოდ გერმანიის გაყოფის საკითხს, ბროშურის ავტორები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ ახლა ინგლისში ბევრს მიაჩნია საჭიროდ ცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ ინგლისის მთავრობა გამოდის ამის წინააღმდეგ. „ინგლისი და დასავლეთ გერმანია, — ნათქვამია ბროშურაში, — არიან მოკავშირენი ნატოში. ეს კავშირი ცალმხრივი როდია. დასავლეთ გერმანია იცავს ინგლისის უშიშროებას, ისევე როგორც ინგლისი იცავს მუნისტურ დაჯგუფებათა შექმნას, აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალისტურ პოლიტიკას, რამდენადაც არ არსებობს ისეთი იურიდიული საფუძველი, რომელიც ბაამართლებდა კუბის წინააღმდეგ მიმართულ ამგვარ ღონისძიებებს. პირიქით, სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები იმსახურებენ მკაცრ სასჯელს, როგორც აგრესორი, სამართლის ყველაზე ელემენტარული ნორმების შესაბამისად.

კუბის ბედი ეს არის ბედი 200 მილიონი ლათინურ ამერიკელისა, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რომ დამასხვრიონ მონობისა და სიღატაკის ბორკილები. გუშინ ჩვენმა განმათავისუფლებლებმა გაიმარჯვეს, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა. მათი მაგალითით მთაგორებულნი ვიბრძოლებთ ჩვენი სრული განთავისუფლებისათვის! „ვინც დღეს აღდგა კუბასთან ერთად, — ამბობდა მარტი, — ის სახელს გაითქვამს საუკუნეებში“.

გუნდესვერის ნაწილები „ინგლისში

ლონდონი, 27 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ეკონომიკის მინისტრი ერჰარდი გუშინ ლონდონიდან გაფრინდა ერთი დღის ვიზიტის შემდეგ, რომლის დროსაც იგი ესაუბრა ფინანსთა მინისტრს სელვინ ლოიდსა და სხვა ოფიციალურ პირებს.

გუშინ ერჰარდი ეწვია ფინანსთა სამინისტროს, სადაც სელვინ ლოიდთან აწარმოებდა „არაოფიციალურ საუბრებს ურთიერთსაინტერესო ეკონომიურ პრობლემებზე“.

ბონელი მინისტრი ეწვია აგრეთვე ინგლისის პრემიერ-მინისტრს მაკმილანს.

ლონდონის ჟურნალისტთა წრეებში იმ აზრს ადგანან, რომ ფინანსთა მინისტრმა თითქმის ვედარაფერს მიაღწია ერჰარდთან იმ ღონისძიებათა საკითხში, რომელთა მიღებას დასავლეთ გერმანია აღუთქვამდა, რათა შეემსუბუქებინა ინგლისის რაინის არმიის შენახვის ხარჯების ტვირთი.

ლონდონის საღამოს გაზეთ „ივნინგ ნიუსის“ მმომხიელელი ჯონ დიკინსონი იუწყება, რომ ერჰარდთან შეხვედრის წინა დღეს მაკმილანი თავისი კაბინეტის უფროს მინისტრებთან ერთად განიხილავდა გეგმას — შემოუშვან ინგლისის პოლიგონებზე გერმანიის დიდძალი ჯარები საბრძოლო მომზადებისათვის.

მოელიან, წერს დიკინსონი, რომ, გარდა კასლმარტინის სტანკო პოლიგონისა პემბრუქშირის საგრაფოში, გერმანიის ნაწილების განუწყვეტელი ნაკადის მოსამზადებლად გამოიყენებენ ზოგიერთ ბაზას შოტლანდიისა და ინგლისის სხვა ნაწილებში.

ნაპოვნი უდაბნოში

კაირო, 25 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ფ. ნოსოვი იტყობინებს:

ნუბიაში, რაიონში, რომელიც დაიტბორება მაღალი ასუანის კაშხალის აშენების შედეგად, ამეძახა მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციას მეთაურობს სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დოქტორი ბ. ბ. პიოტროვსკი.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ბატონ პიოტროვსკიმ ექსპედიციის ხელმძღვანელმა თქვა:

ჩვენი ექსპედიცია მუშაობს სოფელ დაკის რაიონში, დაახლოებით 100 კილომეტრზე მშენებარე მაღალი კაშხალის სამხრეთით.

პირველად ჩვენ ვიპოვეთ ძველი ქვის ხანის (პალეოლითი) იარაღები, რომლებიც კაცობრიობის კულტურის განთიადს გახეკუთვნება. უდაბნოს კლდეებზე აღმოჩენილია ადამიანთა, ცხოველთა და ნადების უძველესი გამოსახულებანი, აგრეთვე ეგვიპტური იეროგლიფური და ბერძნული წარწერები.

დიდ ინტერესს წარმოადგენს ეგვიპტის სახელმწიფოს შექმნის დროის (IV ათასწლეულის დამლევი ახალ წელთაღრიცხვამდე) უძველესი ნასახლარის გათხრები. ნასახლარს უზარმაზარი ტერიტორია უკავია. მიწაში ამოთხრილ სამეურნეო ორმოებში ნაპოვნია ბევრი მთელი თიხის ჭურჭელი (ზოგიერთი მათგანი მოხატულია), ქვის იარაღები, კაჟის, ნამგლის ნაწილები, მარცვალსახეხელები, სპილოს ძვლის სამაჯური, სირაქლემას კვერცხის ნამტვრევები, ფინიკის კურკები და სხვ.

ნალოსის მარცხენა ნაპირზე წარმოებს სამარხის გამოკვლევა, რომელიც განგეკუთვნება IV ათწლეულის დამლეგს ახალ წელთაღრიცხვამდე და ავსებს გათხრილ ნასახლარში მოპოვებულ მასალას.

ექსპედიციის სამუშაოები გრძელდება.

ჯონ გლენი ვერ გაფრინდა

ნიუ-იორკი, 27 იანვარი. (საკდესი). ამერიკელ შტატებს დაგეგმილი ჰქონდათ გაეყვანათ დედამიწის გარშემო ორბიტაზე კოსმოსური ხომალდი, რომელშიც ადამიანი იყო. კოსმოსურ ხომალდს „ფრენდშიპ 7“, რომელშიც იქნებოდა საზღვაო ქვეითი ჯარის 40 წლის პოდპოლკოვნიკი ჯონ გლენი, სტარტი უნდა აეღო კანავერალის კონცხზე 7 საათსა და 30 წუთზე ნიუ-იორკის დროით (15 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით) რაკეტა „ატლასის“ დახმარებით. გეგმების თანახმად ხომალდს სამჯერ უნდა შემოეკლო დედამიწის გარშემო, რის შემდეგაც მისი კაბინა კოსმონავტითურთ უნდა დაშვებულიყო ატლანტის ოკეანის ნავარაუდევ რაიონში. იქ კაბინა უნდა ამოეღოთ სპეციალურ გემებს.

ამერიკელი კოსმონავტი ხომალდის კაბინაში შევიდა 13 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით და დაიწყო უკანასკნელი მომზადება გასაშვებად. მზადყოფნის მდგომარეობაში იყვნენ ოვალურის სადეკენებელი ზედაპირული სადგურები, სპეციალური გემები, გაგზავნილი კოსმოსური ხომალდის კაბინის დაშვების ნავარაუდევ რაიონში. მაგრამ 17 საათსა და 11 წუთზე მოსკოვის დროით, როცა ოთხი საათიდა ერთი წუთი გავიდა მას შემდეგ, რაც გლენი კოსმოსური ხომალდის კაბინაში შევიდა, გამოაცხადეს, რომ გაშვება გადადებულია კანავერალის კონცხზე ცუდი ამინდის გამო. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოს არ გამოუცხადებია გაშვების ახალი თარიღი. თავდაპირველად გაშვება ამერიკის კოსმოსური ხომალდისა, რომელშიც ადამიანი იქნებოდა, გათვალისწინებული იყო 1961 წლის 20 დეკემბრისათვის.

როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში სელინჯერმა განაცხადა, პრეზიდენტ კენედის „იმედგაცრუება გამოთქვა“ იმის გამო, რომ კოსმოსური ხომალდის გაშვება არ განხორციელდა.

ნიუ-იორკი, 28 იანვარი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტომ გადასცა ოფიციალური ცნობა, რომ გადაიდო ამერიკის კოსმოსური ხომალდის გაფრენა, რომელშიც ადამიანია.

„გადაიდო კოსმოსში ადამიანის გაშვების ცდა, — ნათქვამია კომუნიკეში, — და მოეწყობა არა უადრეს 1962 წლის 2 თებერვლისა, იმ პირობების ტექნიკური შეფასების მიხედვით, რომლებიც საჭიროა კოსმოსური ხომალდის გაშვების დროს“.

ნიუ-იორკიდან ბოსტონამდე

ნიუ-იორკი, 28 იანვარი. (საკდესი). ამერიკელ ბანკირ ჯეიკობ ლეფლერის ბინაში ბოსტონში, ბოსტონის